ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №359/01/98

CPV: 50310000 - საოფისე აპარატურის ტექნიკური მომსახურება და შეკეთება

თბილისი 13 ივნისი 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს ს.ს.ი.პ. საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სააგენტოს დირექტორის პირველი მოადგილეს მ/შ ალექსანდრე ონოფრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ესაბი“ მისი დირექტორის ზურაბ დარსაველიძეს სახით (საიდენტიფიკაციო კოდი: 204378173) (შემდგომში – მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტისა და 2013 წლის 11 ივნისის N211578 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით სააგენტოს ბალანსზე რიცხული პრინტერის შეკეთების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2. ხელშეკრულების ობიექტია: 1 ცალი პრინტერიWC 3210MFP შეკეთების მომსახურება, დანართის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს **40 (ორმოცი)** ლარს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და ყველა გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას შემსყიდველი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.2 მომსახურების მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, ხოლო მიწოდების თარიღი – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 **წლის 25 ივნისის** ჩათვლით.

4.3 მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის, კერძოდ, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია **სააგენტოს თანამშრომელი კონსტანტინე ონოფრიშვილი და გიორგი პატარაშვილი.**

5.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.

6.3 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.5. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

8.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ამ მუხლში.

8.3. თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრი ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ან

ბ) განუსაზღვროს მომსახურების შესრულებისთვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 10 (ათი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს შეუსრუელბელი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.

8.4. თუ კი მიმწოდებელი 8.3. „ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს მომსახურების შესრულებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013 წლის 25 ივნისის ჩათვლით და/ან მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს სატანადო შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირი.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების დეფექტებს სატანადო მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხუთ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ოთხი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმით იქნება შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები:

შემსყიდველი:

სსიპ ,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო”
მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის N1, შენობა–ნაგებობა N1, მე–2 სართული
ს/კ 202294980;
სახელმწიფო ხაზინა,
ა/ა 200122900
კოდი: 220101222

დირექტორის პირველი მოადგილეს მ/შ
ალექსანდრე [illegible]

(ხელმოწერა)

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,ესაბი”, მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 37დ, ს/კ 204378173, ს.ს. ,,პროკრედიტ ბანკი”, ბანკის კოდი:, ა/ა GE30PC0053600100013098

დირექტორი
ზურაბ დარსაველიძე

(ხელმოწერა)

ESABI, Ltd
37d, Chavchavadze Ave.
Tbilisi 0162, Georgia
Tel.: (+995 32) 25 29 00
Fax: (+995 32) 25 29 02
www.esabi.ge

სს "პრეკონსალტინგ ბანკი" მიმღების ბანკი	ბსკ	MIBGGE22
კბნ 204378173 | გადა შ.პ.ს. "ესაბი" მიმღები	ანგ. №	GE30 PC00 5360 0100 0130 98

ანგარიში გადახდაზე № SC200 06 ივნისი 2013

მიმწოდებელი 204378173, შ.პ.ს. "ესაბი", ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გზს 37დ, 225-29-00

მყიდველი: 202294080, სსიპ საგადასახადო და საბაჟო კომიტეტი ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სააგენტო (ფოთ. ოფისის ნაგებობა), ფიქრ-ხიბულოსანი / ალეფინის ქ #1, 2 01 06 50

#	ინვენტარული	საქონელი	რაოდ.	ერთ.	ფასი	თანხა:
1		WC 3210 ბრელოდადგმული და შეკეთება	1	ცალი	40,00	40,00

სულ: 40,00
მათ შორის დღგ: 6,10

დასასრულებელი სულ 1, თანხაზე 40,00 GEL
ორმოცი ლარი და 00 თეთრი

ხელმძღვანელი _____ /დავითაიშვილი ზურაბ/

მენეჯერი _____ /ანგა ებრაიმიძე/

ყურადღება! მოცემული ანგარიშის გადახდა გულისხმობს საქონლის მიწოდების პირობებზე თანხმობას. შეტყობინება გადახდის შესახებ აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში საქონლის ინვენტარიზაციაზე ანაა განმარტებულია.